სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

MES 2 23 0001588055

21/11/2023

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნების დანიშვნის, წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადების განსაზღვრისა და უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-10 მუხლის და მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ“ დებულების მე-12, მე-20, 21-ე და 23-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის მანანა ღარიბაშვილის სამსახურებრივი ბარათის (17/11/2023წ; N1571956) საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.დაინიშნოს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა არჩევნები, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილებაშეწყვეტილი წევრების გამოკლების გამო, 2023 წლის 13 დეკემბერს, შემდეგ ფაკულტეტებზე:

- აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე - აკადემიური პერსონალის კვოტით 3 (სამ) ვაკანტურ ადგილზე, სტუდენტის კვოტით 2 (ორ) ვაკანტურ ადგილზე;
- სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე - სტუდენტის კვოტით 1 (ერთ) ვაკანტურ ადგილზე.

2.უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად: რეგისტრაცია დაიწყოს 2023 წლის 27 ნოემბერს და დასრულდეს 2023 წლის 06 დეკემბერს (10 კალენდარული დღე);
3.კანდიდატთა განცხადებები მიიღება უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში, ოთახი N207, 10:00 საათიდან 17:00 საათამდე;
4.განისაზღვროს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. ნინო იაკაშვილი - უნივერსიტეტის იურიდიული სამსახურის წამყვანი სპეციალისტი;
2. ნანა რინკიაშვილი - უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის პროფესორი;
3. დავით მაისურაძე - აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის სტუდენტი.

5.დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას არჩევნებთან დაკავშირებით საორგანიზაციო საკითხების მოგვარება;
6.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს;
7.ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის აგრარულ, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტებს;
8.დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
9.დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;
10.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
11.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი №41).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტრო
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები
სსიპ – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
ჭკადუა შალვა